

პალეოგარემოს ცვლილებების კვლევა ფარავნის ტბასა და მის მიმდებარე
ტერიტორიაზე ჰოლოცენში

ნატალია ბარამიძე

*ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო
მეცნიერებისა და საინჟინრო ფაკულტეტზე გეოგრაფიის მაგისტრის გეოგრაფიულ
საინფორმაციო*

*სისტემების ტექნოლოგიებში აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების
შესაბამისად*

პროგრამა: დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები

მიმართულება: გეოგრაფია და GIS ტექნოლოგიები

სამეცნიერო ხელმძღვანელი: პროფესორი მიხეილ ელაშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2018

განაცხადი

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ნატალია ბარამიძე

თარიღი 08.06.2018

აბსტრაქტი

თანამედროვე მსოფლიოში გლობალური კლიმატის ცვლილება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სამეცნიერო საკითხია. უკანასკნელ პერიოდში მკვეთრად შეიმჩნევა ბუნებრივი პირობების ცვლილება, რაც გარემოსა და ეკოსისტემაზე გარკვეულ ზეგავლენას ახდენს. მაგალითად კავკასიაში, ფარავნის ტბის პალეოგარემო სახეშეცვლილია, რაზეც მეტყველებს არაერთი ფაქტი. არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილია ყორღანები და მეგალითები. აგრეთვე აბულის და შაორის ციხეები შეიძლება გამაგრებულ დასახლებებს წარმოადგენდნენ ადგილობრივი მოსახლეობისთვის. ეს ადგილები ზღვის დონიდან 2700 მეტრზე მდებარეობენ, ხოლო ფარავნის მიმდებარე ტერიტორია კი 2100 მეტრამდეა. ჯავახეთის ზეგანზე სოფლები 2100-2200 მეტრზე მაღლა აღარც გვხვდება, ვინაიდან ამ ტერიტორიაზე საცხოვრებლად მეტად მკაცრ პირობებს ვხვდებით. აქვე შეინიშნება ტბის სანაპირო ხაზის ცვლილებებიც ჩრდილო-აღმოსავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ ნაწილებში, სადაც აქტიურად მიმდინარეობს დაჭაობების პროცესი. ასევე არანაკლებ მნიშვნელოვანია პალეოოლოგიური მონაცემებიც, რომლებიც ფარავნის ტბის სედიმენტებიდან და მის ნაპირებზე გათხრილი ყორღანებიდან იქნა ამოღებული. ეს საშუალებას გვაძლევს ვიმსჯელოთ სედიმენტების თანადროულ მცენარეულ საფარზე და შესაბამისად კლიმატურ და ლანდშაფტურ პირობებზე. როგორც არქეოლოგიური ასევე პალეოოლოგიური მონაცემები მიუთითებს ბრინჯაოს ხანაში (დაახლოებით შუა ჰოლოცენში) დღევანდელისგან მკვეთრად განსხვავებულ ლანდშაფტურ და კლიმატურ პირობებზე, რაც შემოთავაზებული კვლევის ძირითად საკითხს წარმოადგენს. ხოლო,

მომხდარი ცვლილებების ანალიზი საშუალებას მოგვცემს გავერკვეთ ჯავახეთში ბოლო ათასწლეულებში მიმდინარე გარემოს ცვლილებების ხასიათზე; მასში ბუნებრივი და ანთროპოგენული ფაქტორების როლზე.

Abstract

The global climate change is one of the important scientific issue in the contemporary world. Changes in the nature is apparent and makes noticeable impact on the environment and ecosystem. The same processes are underway in the Caucasus: paleo environment of Paravani lake has been transformed which is confirmed by a lot of facts. Kurgans and megaliths were discovered after archaeological excavations. Abuli and Shaori fortresses might have been the enforced settlements for the local population. The altitude of those remains is 2700m above the sea level, while Paravani lake adjacent area equals to 2100m. The villages on Javakheti plateau are situated not more than 2100-2200m, because of severe climatic conditions. In the north-west and south-west parts of the lake the changes of coastline are noticeable where the process of withering is very active. Palenological data is also very important, which was retrieved from Paravani lake sediments and kurgans on its coast. These data allow us to judge on the vegetable cover contemporary of the sediment and climatic and landscape conditions respectively. Archaeological, as well as palenological data indicates sharp climate and landscape difference between Bronze Age (app. Middle Holocene) and present day. This is the main issue of proposed research. Analyses of changes occurred during last millennia will let us identify the nature of environmental changes in Javakheti and the role of natural and anthropogenic factors.